№2041 2015 წლის 23 სექტემბერი ქ. თბილისი

შპს „სანსეტ შოვისთვის“ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტში, კურორტ შოვში მდებარე სასტუმროს წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად, წყლის მილსადენების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული, ონის სატყეო უბნის შოვის სატყეოს კვარტალ №18-სა და 32-ში მდებარე 1273 კვ.მ ფართობით

სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-ტყის ჭრის უფლების გარეშე) ვადა შპს „სანსეტ შოვს“ (ს/კ: 404941088) განესაზღვროს 20 წლამდე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**